# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმეს) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

ერთის წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა . . . 1 მან.

**ფასი განცხადებისა:**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.



**თამარა იოსების ასული კვალიევისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა კოლლეჟსკის სოვეტნიკისა დიმიტრი გიორგის-ძის კვალიევისა და სთხოვს მათ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ სასტუმრო „როსია"-დ მ გოლოვინის პროსპექტზედ, ტროიცკის ეკლესიაზე, ტროიცკის გადასახვევში ბარონის ქუჩის გვერდით, დღეს, სამშაბათს, დილის 10 საათზე.



**არწრუნის თეატრი.**

**ოთხშაბათს, 1 დეკემბერს**

აბონემენტის რიცხვში

**ბ ე ნ ე ფ ი ს ი**

**ნ. მ. გაბუნიასი**

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

**I**

პირველად

**ხანუმა**

კომედია 3 მოქმედებად, 4 სურათად, ა. ა. ცაგარელისა.

**II**

**დივერტისმენტი**

ლექსებს წაიკითხავს კ. მესხი.

ქართულ ხმებს იმღერებს ნ. გაბუნია.

დასაწყისი 8 საათზედ.



ქართული სამეცნიერო ტერმინების შემუშავებისათვის შემდეგი

**კრება**

დანიშნულია ხუთშაბათს, 2 ქრისტეშობისთვეს, ქალაქის რჩევის დარბაზში საღამოს შვიდ საათზე.


## დღიური

სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი მისაილი აცხადებს, რომ დღეს სემინარიის საეკკლესიო დაძმობის მეორე წლის არსებობის დღესასწაულობის გამო ყოვლად უსამღვდელოესი ეგზარხოსი პავლე იქმნება მწირველი სემინარიის ეკკლესიაში.

* * *

ქალაქის რჩევის ხმოსნების გადმოთვლის დროს კვირის ნომერში შეცდომით არის მოხსენებული 5 რიცხვი ქართველთ ხმოსანთა. სულ 9 ხმოსანია ქართველი. წინანდელ ხუთში მოხსენებული არ იყვნენ ქართველი—კათოლიკენი.

* * *

გორსა და ქარელს შუა რკინის გზაზედ, მომხდარ ცარცვის შესახებათ ვაცნობეთ ერთ წინა ნომერში მკითხველებს, „შრომას" ატყობინებენ, რომ ორ ტელეგრაფისტებისათვის დაუდვიათ ბრალი, რომელნიცამ გზაზედ მსახურებენ და კიდეც დაუტუსაღებიათ თქო. ეხლა, როგორცგვაცნობეს, ეს ამბავი მართალი არ გამოდგა. დაატუსაღეს მხოლოდ ერთიტელეგრაფისტი ბადაევი გვარად და ისიც ცუდი ჩვენების გამო ავაზაკების ნიშნეულობაზე.

* * *

ფოთიდან გვწერენ:

„გასულ კვირაში მოხდა ერთი მართლა რომ შესანიშნავი ამბავი. ჩვენმა პოლიციამ აღმოაჩინა დიდი ქურდობა და დაატუსაღა კიდეც ამ ქურდობას დამნაშავენი. ბინად ამ ქურდებისა და ამათ ნაცარცვ-ნაგლეჯ ნივთების საწყობად ყოფილა ერთი აქაური მცხოვრების ს. ლაპარტყავს სახლი. ეს კაცი დღემდის ჩვეულებრივ მშვიდ მცხოვრებლად ითვლებოდა ფოთში. ეხლა, თუმცა ამ ლაპარტყავამ განაცხადა-კი, რომ არ ვიცოდი, თუ ეს ამბავი ხდებოდა ჩემს სახლშიო, ესეც დაატუსაღეს. რა გინდათ, რა დროს დაკარგული მოპარული ნივთები არ გინდათ—აქ იპოვეს. ყოველაფერი აუარებელი, უთვალავი; წარმოიდგინეთ პოლიციის მოსამსახურების გოროდოვოების ლოგინიც კი აქ აღმოჩნდა. გამოძიება ჩიდის. პროკურორი დაბარებულია ქუთაისიდან."

* * *

სურამიდან სწერენ „კავკაზს", რომ ადგილობრივ მცხოვრებს სპირიდონ თუხარელს შეუწირავს დასაარსებლად სახალხო სკოლისა 1,300 მან. სულით და გულით მონატრე ვართ, რომ ს. თუხარელის ესეთი კეთილი მაგალითი სამაგალითოდ გამხდარიყოს სხვა მცხოვრებთათვისაც სურამისა, სადაც, საუბედუროდ, ჯერ კიდე არა აქვთ სკოლა.

* * *

„პეტერ უწყ." სიტყვით, უწმინდესი—პატრიარქი" სომეხთ გრიგორიანების ეკკლესიისა შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომ დაუბრუნდეს ხელ-ახლავ სომეხთ-ეკკლესიას ის მამულები ბათომისა და ყარსის ოლქში, რომელნიც გადასულან ოსმალეთის მმართველობაში.

* * *

ჩვენ გვწერენ:

„ოც-და-ხუთს ამა ნოემბრის რიცხვს ქარელის და გომის სტანციას შორის, მახლობლად მტკვრის დიდი ხიდისა, საყარაულო კარავთან იპოვეს ახლად-დაბადებული ბავშვი, გახვეული ჩვრებში. ბავშვი, როგორც მებუტკე ფიქრობს, რამოდენიმე საათი გდებულა

---

**«დროების» ფელეტონი, 30 ნოემბერ.**

## ელბერდ

(მოთხრობა*)

ელბერდის ცხოვრება კარგა ხანს მიდიოდა მშვიდობიანად და შეურყევლად. მოხუცებული დედ-მამა სტკბებოდნენ შვილების ბედნიერებით; ღმერთმა ისინი შვილი-შვილსაც მოასწრო, რომელსაც მოხუცებულები შეძლებისამებრ ანებივრებდნენ, თუმცა მუშაობას და შრომას ასწავლიდნენ; სიცივე და ჯაფის ატანას, როგორც მუშა ხალხისთვის აუცილებელს საჭიროებას, აჩვევდნენ.

მაგრამ, როგორც ყოველთვისინ არის, ელბერდსაც მოუხდა დალონება და შეწუხება; იმას ჯერ მამა მოუკვდა და მერე დედა, რომელიც ისე უვლიდა და სწურთნიდა თავის რძალს.

დარჩა მარტოკა ელბერდი, თავის ახალგაზდა ცოლით და პატარა სულთით,—ასე ეძახდნენ იმის შვილს. უმაწვილი მამა გამოეკიდა მუშაობას და თუმცა მიწა სამუშაოდ არა ჰყოფნიდა, რადგანაც ექვს დღიურს არ გადაეჭარბებოდა, მაგრამ იჯარით იღებდა მეზობელის ყაზახებისგან, რომელთაც სულზედ ოც-და-ათ-ათი დესეტინა ჰქონდათ დარიგებული; აძლევდა იმათ ქირას და კიდევ იმდენად მხნეობდა, რომ მტერსაც და მოყვარესაც სასახელოდ უხვდებოდა.

ელბერდი არ იყო ქურდი, მაწანწალა, გარეგანის ხასიათისა; ერთის სიტყვით, ის სრულიად არ მიემგზავსებოდა იმ ველური კაცის სურათს, რომელიც ჩვენს გონებას ეხატება სხვა-და-სხვა მოგზაურების წერილებით.

ეს კაცი თავის ცოლით დილიდგან საღამომდის მუშაობდნენ, მკიდნენ, სთიბავდნენ, ჰყვანდათ მწყემსები და იმათი შემწეობით უვლიდნენ საქონელს და საღამოს-კი ატარებდნენ ერთმანერთთან ალერსში.

ერთს საღამოს, ელბერდი თავის ცოლით სამუშაოდგან მოვიდა სოფელში და ნახა ერთს ადგილს შეგროვებულიყო ხალხი, ცოლი გაისტუმრა შინ და თითონ-კი მივიდა ხალხთან, რომ შეეტყო ყრილობის მიზეზი.

— რა ამბავია? იკითხა იმან.

— არ გიკვირს? მისცეს პასუხად.— წუხელ ფოშტა გაუტეხიათ და ეხვი ჩვენზედ მოაქვსთ!

— როდის გაუტეხნიათ? იკითხა ისევ ელბერდმა.

— წუხელის.

— ასეთი უსამართლობა აღარ იქნება, ღვთის მადლმა! დაიწყო ერთმა.—რაიც-კი დაიკარგება, ჩვენს სოფელს აზღევეინებენ!

— რასა იქ, აბა? მოკლედ უპასუხა ელბერდმა და გაბრუნდა შორი-ახლო მდგომ პრისტავისკენ, რომელიც გაცხარებით და ხელების ქნევით ხალხს რაღაცას ელაპარაკებოდა.

— თქვენ ყველანი ქურდები ხართ! ყვიროდა ის.—ყველანი ტყავ-გასაძრობი, ჩამოსაღრჩობი.

— უპასუხე რამე, ელბერდ, უპასუხე. მიექცნენ ახლად-მოსულს რამდენიმე ჩეჩნები, რადგანაც ელბერდი იმათზედ კარგად ლაპარაკობდა რუსულს.

ელბერდმა, ოდნავ ქუდის აწევით, თავი დაუკრა პრისტავს.

— აი კიდევ ერთი ავაზაკი! პასუხის მაგიერ დაუჭყივლა პრისტავმა.

ელბერდი გაფითრდა ამ სიტყვებზედ, მაგრამ თავი შეიკავა და უპასუხა:

— მე, მთელი ჩვენი მხარე მიცნობს, ავაზაკი არა ვარ.

— მთელი მხარე! ავაზაკებისგან შემდგარია მთელი მხარე.

— ბატონო, რათა ლანძღავთ მთელს მხარეს?.. სადაც ხალხია, იქ ცუდი კაციც იპოვება და კარგიც. წყნარად უპასუხა ელბერდმა.—თუ დააშავა ვინმემ რამე, გადაახდევინეთ, თუ არა და სხვებმა რა დაგიშავეს?

— მე გიცნობთ თქვენ!.. ყველას კუდი კუდსა გაქვსთ გადაბმული!.. თქვენ ერთმანერთს როდი გასცემთ!

— ჩვენ მართალია ერთმანერთის ბეზღება არ ვიცით, მაგრამ აი კაცი ჩვენც არ გვიყვარს. ჩვენ დაგისახელეთ აი კაცები, წარმოგიდგინეთ და თქვენ-კი იმათ ადგილები მიეცით, სამსახურში შეიყვანეთ, ჩვენ მწვალებლად გახადეთ! მაგის შემდეგ აუტკივარს თავს ვინღა აიტკივებს.

— გიცნობთ, გიცნობთ!.. თქვენ

---

*) იხ. „დროება", № 248.

გარეედ და თუ მას მატარებლის გავლის შემდეგ მაშინვე არ ენახა, ეხლანდელ განთიადის სიცივეს იგი ვერ აიტანდა. დღესაც ცოცხალი არის ბავშვი, რომელიც აიყვანა გასაზრდელად ქარელის სტანციის უფროსმა ბ. შავროვმა.

ეს მეორე შემთხვევა არის ამ მცირე ხანში რკინის გზის ნაპ-რად ბავშვის დაგდებისა. (პირველი იყო წასრულ თვეში ბექათუბნის სტანციასთან).

* * *

ს. როისიდან გვწერენ:

„ჩვენი ბანკის საქმე იმედს არ გვაძლევს და ან რა სიკეთის იმედი უნდა ქონოდა ადამიანს ამ ბანკისგან, საიდგანაც გაუტანიათ ვალი ამ ორი სამი წლის წინედ და უკან კი აღარ აბრუნებენ. Iსიც განა ცოტა? Oც-ოცი თუმანი და ხშირად კიდევ მეტიც, მაშინ, როდესაც აღარ რჩება გაჭირვებული გლეხისთვის ხან-დის-ხან სამი მანეთიც და ეს უკანასკნელი იძულებულია ხოლმე თუმნიანი საქონელი ოთხად და ხუთ მანეთად გაყიდოს. 189 მსესხებელთაგან 142-არის გლეხი და 47 კეთილშობილი. ამათში პირველებს აქვსთ წაღებული 2643 მანეთი და უკანასკნებს 2676 მან. უკანასკნელთ, რიცხვით თითქმის ერთი ოთხად ნაკლებთ, გაუტანიათ ბანკიდგან პირველებზედ 33 მანეთით მეტი; მაშინ, როდესაც გლეხებზედ მიდის კაცის თავზედ 26 მ. და 77 კ. დანარჩენებზედ-56 მ. და 94 კ. აქ მხოლოდ ერთის სიის ანგარიში მოგვყავს და არიან კიდევ სხვებიც, რომლებიც იგივე საძაგელ ნიმუშისანი გახლავან. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ფულები არის გატანილი მაშინ, როდესაც ამხანაგობა ჰყვაოდა და თუ ალყვავების დროს ამას ვხედავთ, დაცემისა დროს რაღას მოვესწრებით. სიმართლით კი, რომ ვთქვათ, ჩვენი ბანკი დაეცა მაშინვე, როდესაც ისე განურჩევლად ჰფანტავდნენ ორსავ მხრივ ფულებს და ახლა რომ აღარ ახლავთ, რაღას გაჰფანტვენ. ვისაც ამხანაგობისათვის რამ ესესხებინა, ყველამ გაიტანეს, რასაკვირველია, ვაივაგლახით; ვისაც წილის ფული უფრო მომეტებული ჰქონდა, იმათაც დააძრეს თავი. დარჩნენ მხოლოდ ესრედ წოდებულნი თორმეტ აბაზიანები.

თუ ესე გაგრძელდა საქმე ეს ბანკი ხალხისათვის საზარალო შეიქნება და იმედის მომცემი.“

* * *

ერთს სამზღვარ გარეთის გაზეთში ვკითხულობთ:

ეს არის ამბავი მოვიდა, რომ გაგზავნილი მერვში ინჟინერი ლესარი მოუკლავსთ, დაუხოციათ რამდენიმე ყაზახიც. ეს ლესარი გაგზავნა ახალ-თეკის უფროსმა ღენ. რერბერღმა და თან გაატანა 18 ყაზახი და ერთი აფიცარი. ამობენ ექვსამდის ყაზახი არის მოკლულიო. ამ ლესარის გაგზავნის მიზეზი იყო შემდეგი: მერვიდგან მოვიდნენ მაილი და ბევრი სხვა ხანებიც და ითხოვეს, რერბერღთან—ხივის ხანმა ხანი გამოგვიგზანა, რომელიც ჩვენ არ მოგვწონს. ხალხს მე უნდივართო ხანად, სთქვა მაილი-ხანმა და ამისთვის ვითხოვთ, რომ რუსის მთავრობამ მე დამამტკიცოსო. უველა ამის გამოსაკვლევად იყო გაგზანილი ლესარი.

მერვში როგორც ამბობენ, ბევრნი არიან რუსებას წინააღმდეგნიო.

ამას წინედ ტაპოგრაფი ბლადიმოვი ეცემათ და გამოეგდოთ, კინაღამ მოეკლათ, რომელიც თავის ნებით მისულიყო იქ, თუ საიდუმლო მინდობილობა ჰქონდა არ ვინ იცის. ღენერალ რერბერღმა საჩქაროდ დაიბარა მ ხტუმ-ყული-ხანი მთელი ახალ-თექის ხანი, რომელიც ეხლ ხან მოვიდა მერვიდგან და შემოურიგდა რუსის მთავრობას. ეს მახტუმ-ყული-ხანი ნურვერ ხანის შვილია, რომელიც გეოკ-თაფის აღების ერთი წლის წინედ მოკვდა. ძრიელ სახელოვანი კაცია თექელებში. ეა მახტუმ-ყული-ხანი გეოკ-თაფის შემდეგ მერვში ხანად იყო არჩეული ოცი ათას მოსახლისაგან.

* * *

ძიდევ ბლდანელმა გაიმარჯვა.

Tითქმის მთელი ქალაქი დაესწრო გუშინ ბლდანელისა და Iგნატაშვილის ჭიდაობას. პირველ გამოსვლაზე Iგნატაშვილმა დასცა მუხლებზედ ბლდანელი. Iგრიალა ხალხმა და იძულებული იყვნენ გაეშველებინათ.

მეორედ გაშალეს განი, გამოიყვანეს, მიაჭიდავეთ ორჯერ-სამჯერ შეარყიეს ერთი-მეორე და უფანდოდ მოჰყვა Iგნატაშვილი ქვეშ—არც სალმა, არც კისრული და არც სხვა ხერხი. Iგნატაშვილმა კიდე გაითხოვა, მაგრამ სადღა იყო. დიდის ამბით, ერთი კოჭინით აატარ-ჩამოატარეს გამარჯვებული ბლდანელი.

---

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

ბ. ჩიხაიშელის პასუხად („დროება“ № 240.) მსურს ორიოდეს სიტყვის თქმა და გთხოვთ, მისცეთ ამას თქვენს გაზეთში ადგილი.

ვინც სოფელში საზოგადო საქმის სამსახურს მოინდომებს, წინ და წინვე უნდა იცოდეს, რომ არა ერთისა და ორისაგან შეხვდება დახმარების ნაცვლად მალიული და ცხადი წინააღმდეგობა, მადლობის მაგივრად—პირში და ზურგს უკან მუქარა და ლანძღვა კინება. ეს მე მანამდისაც კარგად ვიცოდი, სანამ კუხის საზოგადოების სასოფლო ბანკისა და სკოლის დაარსებაში, საითაც უმიზნებს ბ. ჩიხაიშელი, მონაწილეობას მივიღებდი პირადი წყენისათვის ყურადღება არ მიმექცია არასოდეს, მაგრამ დღეს, როდესაც მოწინააღმდეგეთ საერთო საქმეს დაუგეს ათას ნაირი ხაფანგები საჭიროდ დავინახე ამ საქმეზე ორიოდე სიტყვა მეთქვა.

„საუბედუროდ,—იწერება ბ. ჩიხაიშელი,—ჩვენშიაც გამოჩნდნენ მისთანა ბოროტი პირები, რომელთაც ძალიან გულით უნდოდათ(?!) სკოლისა და ბანკის საქმე რამე ნაირად აერიათ. თავის მიზნის მისაღწევად იმათ აი რა საშვალება იხმარეს: შეადგინეს განჩინება ორმა თუ სამმა კაცმა, რამდენიმე პირს ძალით მოაწერინეს ხელი და პეტერბურგში, მინისტრთან, დასამტკიცებლად გაგზავნეს.“

რა უნდა გაიგოს აქედგან მკითხველმა? რასაკვირველია, ის, რომ ვითომც ორ-სამს პირს, ხალხის განათლებისა და კეთილ-დღეობის მტერებს უნდა წარედგინოსთ ამავ ხალხის მოტყუილებით და მისის სახელით რაღაც განჩინება მინისტრთან ჩიხაიშის გასახსნელ სკოლისა და უკვე დაარსებულ ბანკის დასამხობლად. მკითხველს, „ჩიხაიშელის“ წერილის კითხვის

---

ქურდობის მეტი ხელიდგან არა გამოგივათ-რა და ვინც ჩვენი ერთგული იყვნენ იმათი მოშორება გინდოდათ.

— უველა დაკარგული ჩვენ გვეზღვევინება და კაი კაცის მოშორება რას გეიშველდა?.. არა ბატონო „პრისტოპ“ ჩვენ ქურდები არა ვართ.

— მაშ საიდგანა სცხოვრებთ ეგრე, როდესაც ყაზახები გაღარიბებული არიან? ყაზახებს ხომ მიწა თქვენზედ მეტი აქვსთ?

— მეტს მოხმარება უნდა... ყაზახები ლოთები და ზარმაცები არიან, ჩვენა ვმუშაობთ, როდესაც ისინი დღეებს ლოთობაში, გარყვნილებაში და ერთმანერთის შარის მოდებაში ატარებენ.

— მიჰქარამ!

— მართალს რომ ვამბობ, იმიტომ თუ მიწყრები?.. აბა მუშაობის დროს ჩვენს სოფელშიაც შემოდით და ყაზახების სოფელშიაც... ჩვენ ყველანი მინდვრად, სამუშაოზედ ვიქნებით და ისინი-კი დუქანში გახეთქილები ყრიან... საიდგან ექნებათ ჩვენზედ მეტი.

— შენ რაც გინდა სჩმახო, ფოჩტის გამტეხი უნდა მოგვცეთ, თუ არა და „ეგზეკუციას“ ჩაგიყენებთ.

— ღმერთი დიდია, ძალა თქვენს ხელთ არის! უველანი აქედგანაც კიდევ რომ გადაგვასახლოთ პატრონი ვინ არის.

— ხვალამდინ გაცლით, თუ ქურდებს არ მომცემთ, ერთს როტას აქ დავაყენებ და ისინი მოვლენ თქვენის ოხტიდგან.

ამ სიტყვებით პრისტავი გაემგზავრა ახლო მყოფ ყაზახების სტანიცაში, სადაც მოელოდა ჩიზირი და გარყვნილი ყაზახის ქალების ალერსი, აჩლიყელები-კი დიდს შეწუხებაში დარჩნენ. Iსინი აყაყანდნენ, აღელდნენ, რადგანაც ქურდები არ იცოდნენ, ვერავიზედ დაუჩვენებდნენ და მაშა სადამე სალდათების ჩაყენება აუცილებელი ხდებოდა.

მთის კაცისთვის იმისთანა გადახდეინება არ არის მოგონილი, როგორც სალდათიბის ჩაყენება, რადგანაც საზოგადოდ მთიელნი ზნეობით ბევრით ამაღლებულნი არიან გარყვნილს, თავისუფლებას დაჩვეულს სალდათებზედ, რომელთ განმარტოებული ცხოვრება, დიდხანს დაშორევება ქალების საზოგადოებას აჩვევს შეუვიწროებლად ყოველ გვარს უწმაწურს ლაპარაკს და საქციელს.

ალალი მართალი, ამ შემთხვევაში, დაუნაშავებელი ხალხი თავიდგან ვერ იცილებდა ისეთს ძნელს გადახდევინებას და წარმოიდგინეთ აჩლიყელებს—ან რა გული შაექნებოდათ და ან რაოდენს ხანს გასწევდა იმათი ყაყანი და ლაპარაკი?

ვერ უშველა იმათ ვერც ლაპარაკმა, ვერც მოაზრებამ და მესამე დღეს ნაშუადღევის საათის ოთხზედ, სოფელს აჩლიყში გაისმა ბარაბნისა და „ტრაი-რაი რატალაის“ ხმა! შემოვიდა, რამდენიმე აფიცრის წინა-მძღომლობით, მთელი როტა რუსი...

სალდათები განაწილეს სოფელზედ, ჩაუყენეს ყველას სულში და პირში მაყურებლად. ელბერდს არგუნეს აფიცრები, რადგანაც ამ ჩეჩენის სახლი უფრო მოწყობილი და წმინდა იყო...

—

ამ დღიდგან ელსერდის ცხოვრება სწორედ ჯოჯოხეთად გარდაიქცა, რადგანაც თითქმის ყოველ საღამოს, უსაქმო ბატონი აფიცრების გასამხიარულებლად, შაიყრებოდნენ მომღერალი რუსები და ერთი ცრომშტრიალი იდგა. აფიცრები სვამდნენ, რადგანაც სხვა საქმე არ გააჩნდათ და სალდათები, რაც შეეძლოთ აბრახუნებდნენ და გაჰკიოდნენ.

ელბერდს და ენდის, როგორც მუშა ხალხს მოსვენება და ძილი ეჭირებოდათ, ისენი შუაღამემდინ ვერ დაიძინებდნენ, როგორც ბატონი აფიცრები! და უმუშაოდ-კი ლუკმა ვერ გაუჩნდებოდათ.

ამის გარედ, ეს ბაბონები ელბერდს ისე უყურებდნენ, როგორც თავის მოვალეს, თავის ყურ-მოჭრილს ყმას და ამის გამო ხან სადა უკრავდენ თავს და ხან სად. ელბერდ, როგორც უმეტესი მთის ხალხი, პირველში ხათრს არ უტეხავდა იმათ და დადიოდა ყველგან სადაც-კი ხელს გაუშვერდნენ, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ აფიცრები ისე უყურებენ იმას, როგორც დავალებულს, აღარ იცოდა რა ექნა და თავიდგან როგორ მოეშორებინა მაბეზარი სტუმრები.

ერთს დღეს ელბერდს რაღაცა საქმე გაუჩნდა „ძაუგში“, და ამისთვის ის გამოეთხოვა თავის ცოლს, რომელმაც უთხრა:

— უთუოდ უნდა წავიდე ძაუგს?

— უთუოდ.

— „და-და-დაი“! მარტოკამ რაი უნდა ვქნა ამდენს რუსებში?

— რისა გეშინიან? უპასუხა ელბერდმა.—მეზობელ დედაკაცს სთხოვე ვისმე და ღამე შენთან გადმოვა, დღეკი ფიქრი არ გინდა.

როს, ნათლად წარმოუდგენია ეს
„ბოროტი პირები“, რომლებიც სი-
რულით მოელიან ხალხის უმეცრე-
თა და მატერიალურის გაჭირებით
ვგებლობას. ამ ნაირად, მკითხველო,
„ჯიხაიშელის“ წყალობით ძალა უნე-
ურად სტყუვდება.

საქმე ამაშია, რომ იმ ორიოდ კა-
ის თაოსნობით ორმოცამდე ამხანაგ-
სოფ. კუხში სასოფლო ბანკის
არსება ითხოვეს ბატ. ფინანსთ მი-
ნისტრთან. ნუ თუ ეს ბოროტებად
უნდა ჩაეთვალოს იმ კაცებს?! იმათ,
ეთასამდე მოსახლეს ს. კუხში ამდენ-
ანს ბანკი არ ჰქონებიათ, დღეს მო-
ნდომეს გახსნა და, ნუ თუ, უსათუ-
ოდ ჯიხაიშელებს უნდა დაჰკითხოდ-
ნენ?!

რა საქებია რომ ჯიხაშლებს მოუ-
ნდნიათ თავიანთი მეზობლების გა-
ჭირებით ესარგებლებნათ, მოუწად-
იათ, მოესპოთ მათთვის ახალი ბან-
ის გახსნის შეძლება და ისეთი საშ-
ლებისათვის მიუმართავთ რომელიც
წურედ არ ეკადრებოდა იმ ზოგიერთ
ირებს მაინც, რომელთა სახელებიც
ოძებად აქვს შეყენებული ჯიხაიშის
ანკს. მე ვამბობ იმ თხოვნაზე, რო-
ელიც ამ ბანკის გამგეობას მინისტრ-
ან გაუგზავნია და რომელშიაც საქ-
ეს ცრუდ იჩვენება და იხვეწება, კუ-
ლებს ბანკის გახსნის ნება არ მიე-
ესთო.

დარწმუნებული ვარ, გამოძიება,
რომელიც ამ საქმის თაობაზე იქნება
მ დღეებში, კუხელების სასარგებლოდ
ავა.

სოლომონ წერეთელი.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარაძლევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

—

წელს გიმნაზიაში კურს შესრულებულმა ქალმა, სალომე ნასიძისამ გახსნა, სამოსწავლო მზრუნველის ნებართვით:

ავლაბარში

საქალებო სკოლა

და

მოსამზადებელი კლასები,

ლაზარევის ქუჩაზე, ნიკოლაევის სკოლის ზევით, სახლი № 53.

(5—4)

---

ინგლისის

## მაღაზია

*Maison de confiance*

[illegible] წვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.
— — —1—20 — —1—60
— — —1—40 — —1—80
— — —1—60 — —2— „
— — —1—80 — —2—50
საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჰურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კლენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—13)

---

ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში (გოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

მიიღება ხელის მოწერა

1883 წლისა

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და ამზღვარ გარეთებზედაც.

(20—6)

---

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

— ნეტავი დარჩენილიყავ! მოეხვია ცოლი.

— ბარემ, მაგრამ საქმეს რა უყო? მიიკრა ქმარმა მკერდში, ჵკოცა რამდენჯერმე და აიყვანა სულთი ხელში, რომელიც დედას მობღაუჭებოდა, თითქოს ეშინოდა, რომ ისიც არ წასულიყო სადმე.

ელბერდმა ამასაც რამდენჯერმე აკოცა, გადასცა დედას და გამოვიდა კარებზედ; იქ შეხვდა ერთი აფიცერთაგანი, რომელსაც ლოთობით და ძილით თავ-პირი დაშუპებოდა და ხმა რაღაც გვარად ჩახრინწიანებოდა. იმან რამდენჯერმე დაახველა და ისეთი ბოხი, უსიამოვნო ხმა გამოისმა თითქოს ქვევრიდგან იძახისო.

— ცხენი რად შეგიკაზმია? ჰკითხა იმან სახლის პატრონს და უჩვენა იქვე ეზოში გამობმულს ცხენზედ.

— ძაუგში მივდივარ, საქმე მაქვს რამე. მისცა პასუხად ელბერდმა.

— მე მინდოდა „სტარა-ვერკაში“ გამეგზავნე.

— ძაუგს საჭირო საქმე მაქვს.

— იქაც საჭირო საქმეა?

— რა საქმე?

— დღეს ჩემი ამხანაგი აფიცრები მესტუმრებიან და იქიდგანაც მინდოდა მომეწვია აფიცრები.

— ღმერთმანი წავიდოდი, რომ ძაუგს საჭირო საქმე არ მქონდეს.

— არ იქნება, შენი საქმე იქით გადასდო?

— არ იქნება, ისეთი საქმეა.

— მე კი გეუბნები, უნდა გადასდო.

— ღმერთმანი არ შემიძლიან, თორემ არ გაწყეინებდი. „სტარა-ვერკა“ ახლოა, სალდათი გაგზავნე ვინმე.

— რჩევას არავინ გკითხავს! მკაცრად გააწყვეტინა იმან. შენ უნდა წახვიდე.

ელბერდს გული მოუვიდა ამ ბძანებით.

— არ შემიძლიან, თორემ როდის დაგზარებივართ?

— მე არ ვიცი დამზარებიხარ თუ არა, მაგრამ ეხლა კი უთუოდ უნდა წახვიდე.

ელბერდს თვალები აენთო.

— არ შემიძლიან და არც წავალ. აჩქარებით და ხმა ამაღლებით უპასუხა ჩეჩენმა და ისეთ რიგად შეხედა, რომ აფიცერმა რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა.

იმან აშკარად დაინახა, რომ ელბერდის თვალებში, რიღაცის გადაწყვეტილების ცეცხლი გამოკრთა და ხანჯალზედ დადებული ხელი ძალზედ აუთრთოლდა.

ელბერდმა კიდევ შეხედა აფიცერს, გადააფურთხა და სანამ აფიცერი ვონს მოვიდოდა, მოახერხებდა რასმე, ჩეჩენი გადაჯდა ცხენზედ და ძაუგისკენ მიაჭენებდა.

არის ხოლმე ისეთი თვალი და მეტადრე ისეთი შეხედვა, რომელიც მსწრაფლად დაჰფანტავს კაცს, გააწყვეტინებს პირში სიტყვას და კარგა ხანი გაივლის სანამ ამ მდგომარეობაში მყოფის აზროვნება წესიერს მდინარეობას მიიღებს. სწორედ ამ გაშტერებაში ჩააგდო ელბერდის შეხედვამ ეს აფიცერი და აგრძნობინა, რომ ელბერდისთანა კაცთან ამ გვარი ხუმრობა ადვილი არ არის.

— რა ხალხია, ღმერთო ჩემო! ძლივს წარმოსთქვა უფროსმა და დაუმატა: ყველას ხანჯალზედ უჭერია ხელი... მაგათთვის წიწილისა და კაცის სიკვდილი სულ ერთია!

ამ სიტყვებს შემდეგ ის ისევ ჩაფიქრდა და რაოდენიმე ხანს შემდეგ დაუმატა:

— მაგას ცოტა მოჰკვიანება ეჭირება და მეც არ დავაგვიანებ: დღესვე მივწერ პრისტავს მაგის ყოფა-ქცევაზედ.

აფიცერმა დაუძახა სალდათს, რომელიც იმასთან პოვრად ირიცხებოდა, იკითხა სადილის თაობაზედ და შეიტყო, რომ სტუმრებისთვის საკმარისი მასალა მოეტანათ.

— ხორცი ხომ არის?

— დიაღ გახლავსთ, როტისთვის დაკლული ხარიდგან ავილე საუკეთესო ნაჭრები.

— ხომ მსუქანია.

— სოფლის ნახირში ამოერჩიათ და მა რა იქნება?... ისეთი იგინებოდა იმისი პატრონი, ისეთი...

— რაო?

— მაგის მეტი ხარი არა მყავსო, ნუ დამიკლავთო... თქვენთან მოდიოდა....

— მერე?

— მერე სალდათებმა სცემეს და გააგდეს.

ამ დროს გამოჩნდა გზაზედ მტვერი და რამდენიმე წუთს შემდეგ ექვსიოდე ცხენოსნები, რომელთ შორის აფიცრებმა იცნო თავისი სტუმრები.

— მოდიან, მოდიან! დაფაცურდა აფიცერი და გაავდო პოვარი რომ სადილი დაეჩქარებინა.

ა. მოჩხუბარიძე.

(დასასრული შემდეგში)

### Открыта подписка

на ежедневную политическую, общественную и литературную газету

# ЭХО

въ 1883 г.

Въ будущемъ, второмъ году своего существованія газета «Эхо» будетъ издаваться въ томъ же (большомъ) форматѣ по той же программѣ (программѣ всѣхъ большихъ газетъ, подъ той жә редакціею и при участіи какъ нынѣшнихъ, постоянныхъ, такъ и нѣскольких новыхъ сотрудниковъ и корреспондентовъ.

Газета «Эхо» тѣмъ отличается отъ другихъ изданій, что лицу, не получающему никакой газеты, «Эхо» даетъ разнообразный матеріалъ, и кромѣ передовыхъ статей представляетъ о каждомъ событіи не только свое мнѣніе, но взгляды и мнѣнія другихъ, замѣчательныхъ органовъ печати, какъ русскихъ, такъ и заграничныхъ, вслѣдствіе чего поднисчики «Эхо» могутъ составить себѣ болѣе широкій и безпристрастный взглядъ на всякое событіе; лицу же получающему, кромѣ «Эхо» другое изданіе, газета наша даетъ возможность узнать, какъ отнеслись другіе органы печати къ статьямъ и мнѣніямъ той газеты, которую оно получаетъ.

### ПРОГРАММА ГАЗЕТЫ:

1, Передовыя статьи; 2, Телеграммы; 3, Новѣйшія политическкія извѣстія; 4, Русская печать; 5, Иностранная печать; 6, Корреспонденціи изъ-за границы политическаго содержанія 7, Внутренныя корреспонденціи; 8, Хроннка; 9, Эхо (толки и слухи) 10, Очерки петербургской жизни; 11, Очерки русской жизни; 12, Судебная хроника; 13, Театральная и музыкальная хроника; 14, Телефонъ (разныя мелкія извѣстія); 15, Раешникъ Эхо; 16, Эхо юмористики; 17, Фельетонъ: 1, Обзоръ русской журналистики; б, обзоръ спеціальныхъ журналовъ в, обзоръ промышленности; г, изобрѣтеній и открытій; 2, Воскресные Фельетоны; 3, Иностранная хроника и 4, Романы, повѣстя и разсказы, русскіе и переводные съ англійскаго, французскаго; и нѣмецкаго; 18, Биржевыя извѣстія и курсы; 19, Пріѣхавшіе и выѣхавшіе; 20, Желѣзныя дороги; 21, Театры; 22, Скорбный лисокъ; 23, Объвленія.

Контора редакціи отвѣчаетъ за исправную доставку въ томъ только случаѣ, когда подписчикъ выписалъ газету прямо изъ конторы редакціи, находящейся въ С.-Петербургѣ по Надеждинской уіицѣ, домъ № 9-й, кв. 21-й.

Годовая цѣна за газету (съ 1 го января 1883 по 1-ә января 1884 г) 10 руб. сер., за полгода—6 руб. сер. ва три мѣсяца—3 руб. сер., за 1 мѣсяцъ—1 руб. сер. (4—3)



დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## ეროზა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 15 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

და

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.



დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარ

ბატონიშვილის ალექსანდრეს-მის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის

**სკოლაში და შინ საკითხავად**

აღაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

ქ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.



ახალი ქართული

## კარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.


**ტაქსია**

საკვებად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის | „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 8 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველი ხარისხის | — | 1 გირ. | 10 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 9 კ. |




ბეკკერის თეატრი

ბუნიბის მოედანზედ.

დღეს, 30 ნოემბერს

მშვენივრად მოწყობილი სცენა ელექტრონული გაჩაღებით.

არა ჩვეულებრივი, საოცნებო და თვალთ-მაქცური

## საღამო

(ხვათა შორის მეორეჯერ **პროტეუსი**

**თვალთ-მაქცური შკაფი ბეკკერისა**

შემდეგ პირველად

**ბეკკერზედ თავ-დასხმა 1873 წ. საციმბირო ავაზაკისაგან** კრასნოიარსკისა და ირკუტსკის შორის

და ბოლოს

## ჯოჯოხეთი

ანუ

გზა დაკარგული გმირი მცურავი ნიმფების კუნძულზე და მისი სულის ამოხდენა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

დაიწყება 8 საათზე.



ინგლისის მაღაზიაში

## თმის ამომყვა  ნი მაკმასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—12)

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.



## ყორხმაზის ქარვასლისაგან

უცხადებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ყორხმაზის ქარვასლაში, რომელიც დღეს ჩვენს საკუთრებას შეადგენს, გამართულია სხვა ქალაქებიდამ მოსულ ვაჭრებისათვის ცალკე ნომრები და სადგომი ოთახები, რომელსაც ახლა უფრო იაფ ფასად ვაქირავებთ, ვიდრე ადრე იყო. ძველი ფასები იყო: ღამის გასათევი—10 კაპ. ახლა 5 კაპ. გავხადეთ; ცალის შესაკრავი მუშის ქირა ადრე იყო ხუთი შაური, ახლა აბაზია და სხვ.

საჭიროდ ვრაცხთ გავაფრთხილოთ განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის ჩვენი მუშტრები, რომ მოერიდნონ ადრინდელ ჩვენგან დათხოვნილ არენდატორს, რომელიც თითქმის ძალით იტყუილებს მუშტარს თავის ქარვასლაში: შუაღამის პოეზდის მოსვლის დროს მუშებს აყენებს სიონის წინ, პოეზდიდამ მომავალ ფაეტონებს აჩერებენ და ამნაირად ძალა-უნებურად მიჰყავთ მუშტარი სხვა ქარვასლაში. ზოგნი ამათგანი კი მეორე დღეს ისევ ჩვენს ქარვასლაში გადმოდიან.

ჩვენვე ვკისრულობთ კომისიონრების მოადგილეობას. ჩვენს ქარვასლაში შეკრულს თითო ცალზე ვიღებთ 20 კაპ. ყოველს ხარჯს ჩვენ ვკისრულობთ, ე. ი. დროგისა, მარკისა, მუშისა და სხვ. თუ რამე ნაკლულევანება აღმოჩნდება, პასუხის-მგებელი ჩვენ ვიქნებით.

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ შემდეგში ჩვენ გვსურს გავამშვენიეროთ და შევკეთოთ ჩვენი ქარვასლა, ასე რომ მუშტარს ყოველი შეღავათი და საშუალება მივცეთ თვის საქმის კარგად და საჩქაროთ წარმოებისათვის.

ძმანი იაგორ და ონანა ჰარუნ **სარქისოვები.**

(10—7)



**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. მასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Ноября 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი